

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაცია

პანდემიური და სეზონური გრიპით გამოწვეული სიკვდილობის შედარება

22 დეკემბერი, 2009 წელი – ეროვნული ან მსოფლიო მასშტაბით H1N1 პანდემიური გრიპის სიმძიმის შეფასებისათვის ცდილობენ პანდემიური H1N1-ით დადასტურებული გარდაცვალებების რაოდენობა შეადარონ სეზონური გრიპით გამოწვეულ სიკვდილობას. მსგავსი შედარებები არ არის სარწმუნო სხვადასხვა მიზეზის გამო და შესაძლოა შეცდომაში შეგვიყვანოს.

სეზონური გრიპით გამოწვეული გარდაცვალებების რიცხვი შეიძლება გამოთვლილ იქნას. მოცემულ პოპულაციაში გრიპის ვირუსის ფართო ცირკულაციის პერიოდში გადაჭარბებული სიკვდილობის გამოსათვლელად იყენებენ სხვადასხვა სტატისტიკურ მოდელს.

ყველა მიზეზით გარდაცვალების გამოთვლა

ეს მოდელები იყენებს მონაცემებს გარდაცვალების სერტიფიკატიდან და სამედიცინო ჩანაწერებიდან, სადაც მითითებულია გარდაცვალების ყველა მიზეზი ასევე ადარებენ გარდაცვალების რიცხვებს სეზონური გრიპის ეპიდემიის დროს წლის დანარჩენ პერიოდში ფონურ მანვენებს. საბოლოოდ, დაკვირვებისას აღმოჩნდა, რომ გრიპის სეზონზე გრიპის ვირუსით გამოწვეული ინფექციები იწვევენ “გადაჭარბებულ სიკვდილობას”.

სეზონური გრიპის ეპიდემიისას, სიკვდილობის 90% გამოვლინდა მოავადე ხანდაზმულებში, რომლებსაც ხშირად აქვთ ერთი ან რამოდენიმე ქრონიკული დაავადება. მიუხედავად იმისა, რომ გრიპს შეუძლია გაართულოს ეს მდგომარეობები და გამოიწვიოს სიკვდილი, შემთხვევების უმეტესობაში არ ტარდება სეზონურ გრიპზე ტესტირება. გარდაცვალებების უმეტესობის მიზეზი მიწერილია სხვა თანმხლებ ქრონიკულ დაავადებაზე.

გადაჭარბებული სიკვდილობის აღრიცხვის მეთოდები შემუშავდა 19-ე საუკუნეში, გრიპთან დაკავშირებული გარდაცვალებების აღრიცხვისათვის, რომ არ მომხდარიყო მათი გამორჩენა. აღრიცხვის ასეთმა მეთოდებმა ხელი შეუწყო განესაზღვრათ გრიპი როგორც მსუბუქი დაავადება, რომელიც იშვიათად კლავს.

ლაბორატორიულად დადასტურებული გარდაცვალებები

ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ შეტყობინებული და ჯანმო-ს მიერ აღრიცხული პანდემიური გრიპით გამოწვეული გარდაცვალებები არის ლაბორატორიულად დადასტურებული და არა გამოთვლილი. სხვადასხვა მიზეზების გამო, ეს რიცხვი არ იძლევა პანდემიის დროს სიკვდილობის რეალურ სურათს. რადგან გარდაცვალებათა რიცხვი გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ლაბორატორიულად დადასტურებული.

იქიდან გამომდინარე, რომ გრიპი იმეორებს ბევრი გავრცელებული ინფექციური დაავადების ნიშნებსა და სიმპტომებს, ექიმებს ხშირად არ მიაქვთ ეჭვი H1N1 ინფექციაზე და არ ატარებენ ტესტირებას. ეს განსაკუთრებით ეხება განვითარებად ქვეყნებს, სადაც ხშირია რესპირატორული დაავადებით გარდაცვალება, მ.შ. პნევმონიით. უფრო მეტიც, პანდემიურ გრიპზე რუტინული

გამოკვლევა არის ძვირადღირებული და არ არის ხელმისაწვდომი ქვეყნების უმეტესობისთვის.

როდესაც გამოკვლევა ადასტურებს H1N1-ს პაციენტში, რომელსაც აქვს სხვა დაავადება, ექიმების უმეტესობა მსგავს შემთხვევაში გარდაცვალებას მიაკუთვნებს უკვე არსებულ ქრონიკულ დაავადებას და არა პანდემიურ ვირუსს. ეს შემთხვევები ასევე არ აისახება ოფიციალურ სტატისტიკაში.

როგორც უკანასკნელმა კვლევებმა აჩვენა, ზოგიერთი ტესტი H1N1-ზე არ გამოიჩენავს მაღალი სიზუსტით და ხშირი პრობლემაა ცრუ უარყოფითი შედეგები. ზუსტი შედეგები ასევე დამოკიდებულია თუ სად და როგორ იყო აღებული ნიმუში. საუკეთესოდ აღჭურვილ საავადმყოფოებშიც კი, ექიმები ხშირად აღწერდნენ გრიპისთვის დამახასიათებელი, იდენტური ნიშნების მქონე პაციენტების შესახებ, რომელთაგან მხოლოდ რამოდენიმე იყო ტესტირებით დადებითი.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში, რეგისტრაციის სისტემა არასრულყოფილია ან საერთოდ არ არსებობს, რაც ნიშნავს იმას, რომ გარდაცვალების მიზეზის უმეტესობა არც გამოკვლეული და არც გარდაცვალების სერტიფიკატშია მიზეზი მითითებული.

ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფები

პანდემიური და სეზონური გრიპით გამოწვეული სიკვდილობის შედარება არ იძლევა რეალურ სურათს პანდემიის ზემოქმედების შესახებ.

სეზონურ გრიპთან შედარებით, პანდემიური H1N1 აზიანებს უფრო ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფების ყველა კატეგორიას – რამდენადაც ეს ჯგუფი ყველაზე ხშირად ინფიცირდება, საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას, ინტენსიური თერაპიას და გარდაიცვლება.

ჯანმო კვლავ აფასებს პანდემიური გრიპის მიერ მიყენებულ ზიანს, როგორც საშუალო ზეგავლნის მქონეს. სიკვდილიანობის და სიკვდილობის მაჩვენებლის ზუსტი შეფასება შესაძლებელი იქნება პანდემიის პიკიდან 1-2 წლის შემდეგ, იგივე მეთოდით როგორც სეზონური გრიპის ეპიდემიების დროს გამოითვლება გადაჭარბებული სიკვდილობა.